როდესაც ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პირები ავადობის გამო ვერ მიდიან სამსახურში, პაციენტების მოვლა შესაძლოა გართულდეს, რაც ნეგატიურ გავლენას იქონიებს ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირებაზე, გაზრდის ჯანდაცვის დანახარჯებს. შეიძლება შეფერხდეს გადაუდებელი ჰოსპიტალიზაციაც.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მოწოდებაა ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებმა ჩაიტარონ ვაქცინაცია ყოველწლიურად გრიპის სეზონის დაწყებამდე

ვაქცინაცია უსაფრთხოა!

2017 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

NCDC
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

თუ თქვენ ხართ ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პირი, თქვენ იმყოფებით გრიპის ექსპოზიციის უფრო მაღალი რისკის ქვეშ, ვიდრე ზოგადი პოპულაცია.

ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პირებს, მათი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, აქვთ უფრო მაღალი რისკი გახდნენ ავად გრიპით, ვიდრე ზოგად მოსახლეობას.

თუ თქვენ ხართ ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პირი, შეიძლება გახდეთ გრიპით ავად თქვენი თანამშრომლებისგან და პაციენტებისგან.

ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ეპიდაფეთქების დროს სამედიცინო დაწესებულებებში, თანამშრომელთა ნახევარზე მეტი, რომლებიც ზრუნავენ გრიპით დაავადებულ პაციენტებზე შესაძლებელია დაინფიცირდნენ გრიპის ვირუსით.

გრიპის საწინააღმდეგო სეზონური ვაქცინაცია არის ყველაზე კარგი გზა დაავადებისგან თავის დასაცავად.

თუ ხართ გრიპით ავად, შესაძლებელია დააავადოთ თქვენი პაციენტი

კვლევები აჩვენებს, რომ სამედიცინო პერსონალმა შესაძლებელია დააინფიციროს პაციენტები გრიპის ვირუსით. გრიპის ვირუსით ინფიცირება განსაკუთრებით არასასურველია ჩვილებისთვის, ხანდაზმულებისთვის, იმუნოსუპრესიული და სხვა ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებისთვის. ზოგიერთს შეიძლება განუვითარდეს სიცოცხლისათვის საშიში გართულებები.
არსებობს დოკუმენტურად აღწერილი სიკვდილის შემთხვევები ჯანდაცვის მუშაკის მიერ გრიპის ვირუსის გავრცელებისას ახალშობილთა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში, ასევე ბავშვთა ონკო-ჰემატოლოგიურ განყოფილებებში.

ზოგადად, ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პირები საქმისადმი ერთგულნი არიან, ისინი ხშირად, გრიპით ავადობის დროსაც, შესაძლოა მივიდნენ სამსახურში, რითაც ზრდიან გრიპის ვირუსის გავრცელების რისკს.

კვლევა გვიჩვენებს, რომ ჯანდაცვის მუშაკების ნახევარს, რომელთაც აქვთ გრიპი, ვირუსის არსებობას არ მიიჩნევენ საფრთხედ. ვაქცინაცია იმის გარანტიაა, რომ პაციენტებში არ გაავრცელებთ ვირუსს.